ეკატერინე
ღაფაჩი

კაზუსის ამოხსნის მაგალითები მემკვიდრეობით სამართალში

საქართველოს
უზენაესი სასამართლოს
გადაწყვეტილებების მიხედვით

2025

წიგნი ეძღვნება ქართული ცივილისტიკის
ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენლის,
ჩემი უძვირფასესი მასწავლებლის,
ზურაბ ახვლედიანის ხსოვნას

რეცენზენტი:
რომან შენგელია
სამართლის დოქტორი, პროფესორი

გამომცემლობა „დანი“
ISBN 978-9941-9642-6-8

ეკატერინე ლაფაჩის სახელმძღვანელო „კაზუსის ამოხსნის მაგალითები მემკვიდრეობით სამართალში (საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების მიხედვით)“ წარმოადგენს მნიშვნელოვან რესურსს სამართლის სტუდენტებისა და პრაქტიკოსი იურისტებისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან მემკვიდრეობითი სამართლის პრაქტიკული ასპექტებით.

წიგნი მოიცავს სხვადასხვა კაზუსს, რომლებიც ეფუძნება უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებს. ეს მიდგომა საშუალებას იძლევა მკითხველმა გააცნობიეროს, თუ როგორ ხდება სამართლებრივი ნორმების გამოყენება კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებში. კაზუსების ამოხსნა ეფუძნება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამის მუხლებს და უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას, რაც უზრუნველყოფს თეორიული და პრაქტიკული ცოდნის სინთეზს.

სახელმძღვანელო გამოირჩევა კაზუსების საფუძვლიანი ანალიზით, სადაც მკითხველი არა მხოლოდ იღებს პასუხებს კონკრეტულ სამართლებრივ შეკითხვებზე, არამედ სწავლობს სამართლებრივი მსჯელობის პროცესს. კაზუსების ამოხსნა მოიცავს ნორმების სწორ შერჩევას, მათი განმარტებას და ფაქტობრივ გარემოებებთან შესაბამისობის გამოკვეთას, რაც მნიშვნელოვანია სამართლებრივი აზროვნების განვითარებისთვის.

ნაშრომი განკუთვნილია სამართლის სტუდენტებისთვის, იურიდიული ფაკულტეტების კურსდამთავრებულებისა და პრაქტიკოსი იურისტებისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან მემკვიდრეობითი სამართლით. განსაკუთრებით სასარგებლოა იმ პირებისთვის, რომლებიც ემზადებიან გამოცდებისთვის ან ამ დარგში ცოდნის გაღრმავება სურთ.

ეკატერინე ლაფაჩის წიგნი წარმოადგენს მნიშვნელოვან სახელმძღვანელოს, რომელიც აერთიანებს თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებას. მისი დახმარებით მკითხველი შეძლებს უკეთ გაიგოს საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართლის ნიუანსები და განავითაროს სამართლებრივი აზროვნების უნარები.

რომან შენგელია

სამახთღის აკადემიუხი და იუხიდიუღ-მეცნიეხებათა დოქტოხი,
ემეხიტუსი

სარჩევი

წინასიტყვაობა 5

შესავალი 6

კაზუსი N1 8

კაზუსი N2 31

კაზუსი N3 41

კაზუსი N4 51

კაზუსი N5 60

ტესტები 76

გამოყენებული სასამართლო გადაწყვეტილებები: 88

გამოყენებული ლიტერატურა: 89

შემოკლებათა განმარტება 89

წინასიტყვაობა

წინამდებარე სახელმძღვანელო ეფუძნება ქართულ სასამართლო გადაწყვეტილებებს და მასში მოცემულია კაზუსები (თავისი ამოხსნით) მემკვიდრეობით სამართალში.

კაზუსის განხილვის სტრუქტურა შემდეგნაირია: თავდაპირველად გვაქვს თემატიკა (მაგალითად, მემკვიდრეობითი სამართლის რომელ ინსტიტუტს შეეხება ამოხსნილი კაზუსი), შემდეგ მოცემულია კაზუსის ფაბულა, რომელსაც თან ერთვის გრაფიკული სქემა და შემდეგ უკვე განხილულია წინასწარი სამართლებრივი მოსაზრებები, რასაც მოსდევს **კაზუსის გადაწყვეტის უშუალო სქემა ორ ეტაპად.**

პირველი ეტაპია ამოცანის ფაქტობრივი გარემოებების (ფაბულის) დამუშავება, ფაბულა დაყოფილია ორ ნაწილად – უდავო და სადავო ფაქტობრივ გარემოებებად.

შემდეგ აქცენტი კეთდება საკვანძო კითხვებზე: ვის? რა? ვისგან? რის საფუძველზე?

მეორე ეტაპზე უკვე მიმდინარეობს კაზუსის სამართლებრივი გადაწყვეტა (მოთხოვნის წარმოშობა/მოთხოვნის შეწყვეტა/მოთხოვნის განხორციელება), შუალედური შედეგისა და საბოლოო სამართლებრივი დასკვნის გამოტანა.

სახელმძღვანელოში, ასევე, მოცემულია ტესტები, რაც რომლებიც დაინტერესებულ პირებს დაეხმარება მემკვიდრეობითი სამართლის ცალკეული ნორმებისა და დეტალების უკეთ გააზრებაში, სტუდენტებს კი საშუალება ეძლევათ, გამოსცადონ თავიანთი ცოდნა.

მინდა მადლობა გადავუხადო ევროპის უნივერსიტეტის სამართლის ინსტიტუტის ხელმძღვანელს **იოსებ კელენჯერიძეს** წიგნის შექმნაში გაწეული დახმარებისათვის და უნიჭიერეს იურისტს, პროფესორ **თათული დოლიძეს**, გამხნევებისა და მოტივაციის გაღვივებისათვის.